რედაქცია
მელიამინოვის ქუჩაზე, ართემ ჩაიგეშტოვის სახლებში.
—
ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".
—
გაზეთის ფასი
წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადი—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.
—
განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.
—
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**„დროების" რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, ამის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.**

## საქართველო

### ომიანობის მნიშვნელობა

—

ამ უკანასკნელი ოცი, ოცდა-ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებით ხშირად ისმის სხვა-და-სხვა ფილოსოფოსთაგან ცხარე ქადაგება ომიანობისა და ადამიანის სისხლის ღვრის წინააღმდეგ; კაცის ღირსებას, ქვეყნის წარმატებას, განათლებას, პროგრესს არ შეჰფერისო, ამბობენ ისინი, რომ კაცები მხეცებივით ეჯახებოდნენ ერთმანერთს და სულ უბრალო მიზეზის გამო, ჭიანჭველასავით ჰხოცავდნენ ერთმანერთსაო.

ამ გვარი ქადაგება უფრო იმიტომ გახშირდა და გავრცელდა ჩვენს დროში, რომ ისეთი ხალხის ჟლეტა და სისხლის ღვრა, ომის დროს, არასოდეს არ გაგონილა, როგორც ახლაა. რამდენიმე საათის განმავლობაში, რომელიმე ბერდანის, კრუპის ანუ შასპოს თოფის წყალობით, ოცი-ორმოცი ათასი ხალხი წვება ბრძოლის ველზე; რვა ვერსზე დამდგარ მტერს, ეთქვათ ავჭალიდამ, შეუძლიან კრუპის ზარბაზნით ააოხროს შენი ქალაქი და აურეცხელი ხალხი დაგიხოცოს აქ დაბანაკებულ ჯარში. ერთმანეთს ვერც კი ხედავენ მტრები, ისე სცვივა თითქო ზეციდამ ყუმბარები და ტყვიები და ანადგურებს, ჰკაფავს ხალხს.

სხვა მრავალ სიკეთესთან ესეც მოგვიტანა ახალმა განათლებამ: იმან გამოიგონა ათასი ისეთი იარაღი, რომლითაც ვახერხებთ რაც შეიძლება მომეტებული ხალხისა რაც შეიძლება უფრო მსწრაფლად დახოცვას.

და ამ გზაზედ არ გაჩერდება კაცის გონება, სანამ ადამიანის ცხოვრება ისე იქნება გამართული, როგორც ახლაა: დღეს მოგონილია ისეთი თოფი, რომელიც მინუტში თორმეტჯერ ისვრის და ორ-სამ ვერსზე წააგორებს კაცს: დღეს არის კრუპის ზარბაზანი, რომელიც შვიდ-რვა ვერსზე დაანგრევს რა სახლიც და ციხეც გნებავთ;—ხვალ კაცი ისეთს თოფს მოიგონებს, რომელიც ექვსშვიდ ვერსზე მოჰკლავს კაცს და მინუტში ოცჯერ გავარდება; ხვალ ისეთი ზარბაზანი გამოჩნდება, რომლის ყუმბარა ხუთმეტ ვერსზე ააოხრებს ქალაქსა და სხვ.

აი, ამ გარემოებამ, ამ უმოწყალოთ, უანგარიშოთ ხალხის ხოცვამ ალაპარაკა, ააყაყანა ფილოსოფოსნი, კაცობრიობის მშვიდობიანად წარმატების მონატრულნი, ცივილიზაციის მომხრენი.

მაგრამ იმათ ლაპარაკსა და ქადაგებას კაცი ყურს არ უგდებს. სრულის საფუძვლით ამბობენ ამათი მოწინაამდეგენი, რომ მართალია, ამ გვარად ხალხის ჟლეტა ბარბაროსობაა და განათლებას, პროგრესს არ შეეფერებაო; მაგრამ კაცობრიობისა და სხვა-და-სხვა ხალხების ცხოვრება ისეთნაირად განწყობილა ჩვენს დროშიო, რომ უამისობა არ შეიძლებაო, სხვა საშუალება ვერა მოუნახავთ-რა, რომ ხალხებმა ყველა თავის საქმეები, ყველა დამოკიდებულება ერთმანეთს შორის მშვიდობიანად, უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელად გაათავოსო. სანამ ისეთი კაცები არიან დედა-მიწაზე, რომელნიც ამტკიცებენ, რომ „სამართალი და უფლება რკინითა და სისხლით მოიპოვებაო", სანამ ძლიერს სუსტის დაჩაგვრა ჰსურს, სანამ დიდი პატარას ჩაყლაპვას ემუქრება, სანამ კაცს კაცური გული და კაცური შეხედულება არა აქვს ერთმანეთის დამოკიდებულებაზე და განწყობილებაზე,—მანამ თოფ-იარაღის მიტოვება, ომიანობის მოსპობა შეუძლებელიაო. მხეცური ძალის წინააღმდეგ მხეცურივე ძალა უნდა იხმაროს კაცმაო. დაჩაგრულები, სუსტები, ულონოები დიდი ხანია ძმობას, ერთობასა და თანასწორობას ქადაგობენ, მაგრამ ამ გვარი ქადაგებით ბევრი არა გამოდის-რა; ძლიერი თავისას არ იშლის: ეს სიტყვები იმას გულს არ ულბობს; ის საქმით მოქმედებს.

ამ, თუ შეიძლება ვსთქვათ, პოლიტიკურ მხარეს გარდა, ომიანობას კიდევ მეორე მხარეც აქვს, რომელიც იმას თითქმის ეგრეთვე აუცილებელ საჭიროებათა ხდის. ჩვენ ვამბობთ ომიანობის მნიშვნელობას ხალხის მორალურს, ზნეობით მხარისათვის.

უეჭველია, რომ მუდამ ომიანობა, სისხლის ღვრა და ადამიანის ხოცვა, ცოტათი არ იყოს ამხეცებს კაცს, გულს უჩლუნგებს იმას და სასტიკად ხდის.

მაგრამ აიღეთ ახლა მეორე ხალხი, რომელიც ვსთქვათ, ვაჭრობას ან სხვა რომელსამე მშვიდობიან ხელობას ეტანება. თქვენ ნახავთ, რომ მაინც-და-მაინც ჩჩვილი გული და კაცობრიული გრძნობა არც ამასა აქვს. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენში მოვეძებნოთ მაგალითები: პირველ გვარის ხალხის—მეომარის მაგალითად აიყვანეთ, თუ გნებავთ, ჩერქეზი და მეორისა, რომელიც მშვიდობიან ცხოვრების მოყვარულია—ურია ან ჩვენებური მოვაჭრე სომხები; აიყვანეთ და შეადარეთ ამათი ხასიათები ერთმანეთს.

ჩერქეზი, მართალია, მხეცად ითვლება ჩვენში; იმას თითქოს მუდამ სისხლი სწყურიან, კაცის მოკვლა ჩალად მიაჩნია. მაგრამ ამავე დროს ყოველი კეთილშობილური გრძნობა იმას უფრო აღელვებს; კაცს თუ მოჰკლავს, კაცისთვისავე თავის მოკვლად არად მიაჩნია; სტუმართ, ღარიბთ, დაჩაგრულთ მოყვარეა, მხოლოდ მძლავრს, მტერს ემტერება; ამაყი გული აქვს: ტყუილად თავს არ დაგაჩაგვრინებს; ორი გროშისთვის მოყვარეს არ გაჰყიდის; თავისუფლება იმის ღმერთია.

## ბიბლიოგრაფია

„დედა ენა" ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. გამოცემა პირველი, სურათებით. ფასი ექვსი შაური. თფილისი, 1876.

(გაგრძელება)

—

საერთოთ რომ ვსთქვათ, მთელი სახელმძღვანელო რომ მივიღოთ მხედველობაში, მაშინ უნდა გავტყდეთ, რომ ის ვერ აკმაყოფილებს ყველა იმას, რასაც ნამდვილი პედაგოგიური სწავლა თხოულობს, თუმც ადგილ-ადგილ მისი ნაწილებით, არამც თუ სამაგალითოა, არამედ არც რუსულს და არც სხვა უცხო ენებზე, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამისთანა სავსე და სხვა და სხვა გვაროვანი მასალებით სახელმძღვანელო არ მოიპოვება.

პირველი ცამეტი გვერდი „დედა ენისა" თითქმის ხელ-უხლებელად არის გადმობეჭდილი უფ. ი. გოგებაშვილისავე, ჩვენში ასე გავრცელებულის, „ანბანიდამ".

რამდენი ხანია ეს „ანბანი" გამოიცა და რამდენი გამოცემა გამოცვალა მან, მაგრამ ავტორს ამ უკანასკნელს გამოცემაშიაც, გარდა იმისა, რომ შიგა-და-შიგ სურათები ჩაურთავს, ანბანების (ხმების) ხილვითი სწავლის საშუალებით შესათვისებლათ, მეტი არაფერი ცვლილება არა მოუხდენია რა, თუმც შესაცვლელი და გასაუმჯობესებელი, თვით „ანბანის" შედგენილობის მიმართულებას და სისტემასაც რომ არ შევეხოთ, კი იპოვებოდა შიგ.

ეს შენიშვნა ეგების მცირედი რამ იყოს, მაგრამ საყურადღებოთ მაინც უნდა ჩაითვალოს. აი რაშია საქმე:

„დედა ენის" წინასიტყვაობაში უ. გოგებაშვილი ამბობს, რომ „ანბანში", ჯერ ადვილი ასოები არის მოყვანილიო და შემდეგ და შემდეგ კი უფრო ძნელი და ძნელიო; და ამ მოსაზრებით ის არევ-დარევს ასოებს ანუ ხმებს ერთი-ერთმანეთში. მაგ. ი—ნით და ა—ნით იწყებს და იქვე, ამათვე გვერდით, ხმა ხ—ანი მოჰყავს. მე ვერ მიმისაზრებია, მაგ. რითია ხმა ხ—ნი ო—ნზე ან უ—ნზე ბავშვების ყურთასმენისათვის უფრო ადვილი გასაგონი და, საზოგადოთ, ადვილათ შესასწავლებელი?

თუმცა ჩვენი დედა ენის ხმების (ასოების) გამოთქმა, სხვა ენების ხმების გამოთქმასთან შედარებით, თითქოს სულ უხმოთ ითვლებიან, მაგრამ როგორც ამ სხვა ენებშია შემოღებული, ისე ჩვენს დედა ენაშიაც შეიძლებოდა, სიადვილისთვის, ასოები (ხმები) ხმოვან და უხმო ასოებათ დაგვეყო და ამის დაგვარად მათი შესასწავლათ ისე წაგვეყვანა. რა ურიგო იქნებოდა, რომ უფ. გოგებაშვილს თავის ანბანში, თუ კი ის ბავშვების შრომის შემსუბუქებას ცდილობდა ან თუ, საზოგადოთ, ანბანის გამარტივება ჰქონდა სახეში, ჯერ მაგ. ხმები: ა, ე, ი, ო და უ მოეყვანა, ე. ი. იმისთანა ასოები, რომელნიც ხმოვანათ ირიცხებიან ჩვენსა და სხვა ენებშიაც და შემდეგ იმისთანები, რომელნიც კიდევ ისე ჩვენსა და სხვა ენებშიაც უხმო ასოებათ ითვლებიან: მაგ. ბ, ვ, მ, და სხვა?.... ამ გვარათ ხმების დაყოფის შემდეგ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ უფ. გოგებაშვილს თავის „ანბანში" ჯერ ადვილი ხმები მოჰყავს შესასწავლებლათ და მერე კი უფრო ძნელი და ძნელი. უეჭველია, რომ თუ კი ის ჩვენს ალფაბეტში ადვილათ გამოსათქმელს და შესასწავლებელს ხმებს ეძებდა, მაშინ ის ხმოვან ასოებზე ადვილს ვერ გამონახავდა; და რომ ეძებდა, ამაში ეჭვი არ არის, რადგან ის თვითონ ამბობს ამას თავის წინასიტყვაობაში.

ორიოდე სიტყვა იმაზედაც ვთქვათ—თუ უფ. გოგებაშვილი როგორ ასწავლის ბავშვებს რომელიმე ხმის

ურიის ხასიათი ყველამ ვიცით: ოღონდ ფული მიეცი და ათასი დასჩაგრე, ათასი ურტყი კისერში. სისასტიკე და უგულობა ამას მოსთხოვე, თუ კი ფულს შეეხო საქმე; ჩუმად მოღალატე; პირში მეგობარი, პირს უკან ორმოს მთხრელი; ორი გროშისთვის ძმა ძმას გაჰყიდის, მამა—შვილს; ფრთხილი, მდაბალი; თავისუფლება იმას თავისუფლად ხალხის ცარცვა და მოტყუება ჰგონია; ადამიანის ღირსებას ოქროთა და ვერცხლით აფასებს.

ეს ორი ხალხი ორი უკიდურესის ხასიათის ხალხნი არიან. და, ჩვენის ჰაზრით, რაც უნდა ბევრი და საშინელი ნაკლულევანება ჰქონდეს პირველ ამათგანს, სიმპატია, გული მაინც იმისკენ არის და არა ურიისაკენ.

რასაკვირველია, როცა იქნება მოვა ისეთი დრო, როდესაც ამისთანა განსხვავება აღარ იქნება ორ ხალხის ხასიათს შორის. მოვა დრო, როდესაც ერთი ხალხი მარტო ვაჭრობაზე არ იქნება დამოკიდებული და მეორე კი მარტო თავის მხეცურ ძალაზე და სიმარჯვეზე.

ვინ იცის, იქნება, ისეთი დროც მოვიდეს, როდესაც კაცისაგან კაცის მოკვლა და ომიანობა საარაკო საგნათ შეიქნეს. მაგრამ, სანამ ეს დრო ჯერ ვერც კი წარმოგვიდგენია, სანამ ჩვენ დღევანდელს გარემოებაში და ქვეყანაში ვცხოვრობთ, სანამ ძალას, ფიზიკურ, მხეცურ ძალას თავის მნიშვნელობა არ დაუკარგავს და სამართალს რკინითა და სისხლით სჭრიან,—მანამ კაცს ლეჩაქი არ უნდა ეხუროს, მანამ ყოველი ხალხი სამხედრო საქმეებში უნდა ვარჯიშობდეს და ყოველთვის მზად უნდა იყვეს, რომ მომხტომს, მტერს, მოწინააღმდეგეს დაუხვდეს და პასუხი გასცეს...

შემდეგ ნომერში ვიტყვით რამდენსამე სიტყვას იმაზე თუ ეს მოსაზრება რამდენათ მართლდება, ჩვენკენ, ქართველებისაკენ რომ მოვიხედით და ჩვენი ძველი და ახლანდელი მდგომარეობა რომ გაკვრითაც არი განვიხილოთ.

ს. მ.

---

## დღიური

ჩვენ შევიტყეთ ერთი ახალი ამბავი, რომლის სინამდვილეს ჯერ ვერ ვამტკიცებთ, მაგრამ თუ მართალი გამოდგა, უეჭველია, ჩვენი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება. აი, ეს ამბავი:

ამბობენ, ვითომც უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვსო—თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში, სახელმწიფო ხაზინიდამ, ერთი მილიონი მანეთი შეიტანოსო იმ პირობით, რომ ამ ფულით ხელი გაუმართონ იმ დროებით-ვალდებულ გლეხებს, რომელნიც საბატონო მამულების შესყიდვას მოინდომებენო.

ამაზე უფრო დაწვრილებით ჩვენ ამ საგანზე ჯერ არა შეგვიტყვია-რა: არ ვიცით—თუ როგორ და რა პირობით ასესხებენ ხსენებული ბანკები იმ ფულს, რა ვადით, რა გირაოთი და სხვ. მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, რომ თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, ერთი გირაო, რომელიც გლეხს შეუძლიან წარუდგინოს, იქნება ისევ მამული, რომლის გამოსასყიდლად იმას ფულებს მისცემენ; ვადა სესხისა კი, უეჭველია, ხანგრძლივი უნდა იყოს, როგორც საზოგადოთ მიწის კრედიტს შეეფერება.

* * *

ამ თვის 11-ს გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ღენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი მთავარ-გამგეთ დაინიშნება იმ მოქმედ კორპუსისა, რომელიც ოსმალოს სამზღვარზეა კავკასიის მხრით; ღენერალ-მაიორი ზუპსკი—კავკასიის არტილერიის უფროსის თანაშემწე—დაინიშნება ხსენებული კორპუსის არტილლერიის უფროსად, და ღენერალ-მაიორი დუხოვსკოი—იმავე კორპუსის შტაბის უფროსად.

* * *

ყველა ჰხედავს, რომ ომიანობის მომლოდნე ფულიანი ხალხი ჩვენს ქალაქში ამჟამად ძალიან აღელვებული არის; საცა კი ფულები აქვთ, აგროვებენ, და მაგრად ინახვენ ზანდუკებშია; ბანკებიდამ გამოაქვთ, რაც კი შეუნახავთ, და აღარავის აღარ აძლევენ. უიმისოთაც ძნელი იყო ჩვენს ქალაქში ფულის შოვნა და ახლა ხო რაღა, კარგი გირაოც რომ ჰქონდეს და საკადრისი სარგებელიც (ვსთქვათ 20%) შეაძლიოთ, მაინც გიჭირდებათ შოვნა.

ახლა თუ ასეა, ომი რომ გამოცხადდეს, მაშინ ხო რაღას უნდა მოველოდეთ!...

* * *

ამას წინათაც მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში, რომ, ზოგიერთ პირთა თაოსნობით, ქალაქში საზოგადოება სდგება, რომლისმიზანი ისარის, რომ ფულით თუ სხვა რამ საშუალებით ხელი მოუმართოს აქაურ საქალებო გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ ქალებსა. ამ ამბავს დღეს ჩვენ შეგვიძლია დაუმატოთ კიდევ, რომ მომავალი საზოგადოების წესდება უკვე შეუდგენიათ და მთავრობასთან წარუდგენიათ დასამტკიცებლად და, როგორც ამბობენ, დამტკიცებას არავითარ დაბრკოლება არ ექნება. წესდების ძალით, ყოველ წელს წევრმა 3 მანეთი უნდა შეიტანოს საზოგადოების კასსაში და ამას გარდა, თავის მიზნის სასარგებლოდ, თუ საჭიროება მოითხოვს, საზოგადოება გამართავს სპექტაკლებს, კონცერტებს, სალამოებს და სხვ.

* * *

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია: ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ ამბავიო, რომ ქ[illegible]დამ ქ. ქუთაისამდი [illegible] გაყვანისათვის მუშაობა შეუჩერებიათო.

რამდენათაც ჩვენ გაგვიგია, ეს მუშაობა ნამდვილად არც-კი დაწყებულა, რადგან წელს ზაფხულში მხოლოთ ერთ-ორ ვერსზედ გაკაფეს ტყე გზის გასაყვანათ და ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა ამით დაკმაყოფილდა.

* * *

კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ კავკასიაში ქრისტიანების აღმადგინებელ საზოგადოების შკოლების ინსპექტორი უფ. სტრელეცკი თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორად დაინიშნება და ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელი უფ. ლიჩახოვი ზემოხსენებულ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების შკოლების ინსპექტორად.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერევნიდამ მომავალს პორუჩიკს თ. ვარდენ წერეთელს აქსტაფის სტანციაზე უბედურება შემთხვევია: ძალიან სიცივე ყოფილა და ჩამომხტარა თუ არა ტროიკიდამ ამ სტანციაზე, იმ წამსვე უთხოვნია, რომ ოთახში ცეცხლი დაენთოთ. სტანციის ზედამხედველს უარი ეთქვა, კომლი გამოდის ბუხრიდამ, შპალერს გააფუჭებსო და სხ. ამის თაობაზე თ. ვ. წერეთელსა და ზედამხედველს გვარიანი ფიცხელი ლაპარაკი მოსვლიათ, მერე გინებაზე გადასულან და ბოლოს, როგორც ამბობენ, საქმე იქამდინ მისულა, რომ მოთმინებიდამ გამოსულს ზედამხედველს თ. ვ. წერეთლისათვის შემოუკრავს. რუსის არმიის პორუჩიკს ეს შეურაცხყოფა ვერ მოუთმენია, იმწამსვე სატევარი უშიშვლნია, მოუქნევია კოსრისაკენ, მაგრამ ზედამხედველს მარჯვედ გაუწევია იქით ეს სხეულისა და თავის

---

გამოთქმას. მაგ აიღოთ ხმა **ხ** ანი. ამ ხმის ხილვითი სწავლის საშუალებით შესასწავლებლათ ბავშვის წინ ხის სურათია, რომელსაც ქვევით უწერია—**ხე**. შემდეგ ეს სიტყვა ხმებათ იყოფა—**ხ**.... **ე**. ამის შემდეგ მოყვანილია რამდენიმე იმისთანა მარცვლები, სადაც ეს ხმა **ხ**-ანი პირველ ადგილს უნდა თამაშობდეს, როგორც თვალისათვის, ისე, ყურთა-სმენისათვისაც, მაგ. **ახ, ხა, ეხ, ხე**. კიდევ შემდეგ, ამავე მოსაზრებით, სამხმოვანი მარცვლებია: **ახა, ახი** და სხვ. და სულ ბოლოს მოკლე ფრაზებიც, მაგ: **აი ხე, აი ხახა** და სხვ.

ყველა ეს ზემო-მოყვანილი მაგალითები, ანუ—უკეთ ვსთქვათ, მარცვლები, რასაკვირველია, იმისთვის არიან მოყვანილნი, რომ, ამოიკითხავს მათ ბავშვი თუ არა, პირველათ იმას ის ხმა ჩაწვეთდეს ყურში, რომელიც უნდა შეასწავლონ, შეათვისონ. ამ საშუალებით ბავშვის ყურთა-სმენა თან-და-თან ეჩვევა ხმა **ხ**-ანის და, ბოლოს, როგორც კითხვით, ისე წერითაც ითვისებს მას.—ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ეს ზემო-მოყვანილი მაგალითები ვერ გვაჯერებენ ამაში. მაგ. ბავშვი ამოიკითხავს მარცვალს **ახ**-ს; იმას, ამ მარცვლის ამოკითხვის შემდეგ, უწინ რომელი ხმა ესმის-ხმა **ა**-ნი თუ **ხ**-ანი? უეჭველია, ხმა **ა**-ნი უწინ ესმის და თავშიაც მას უყურებს; მაშასადამე იმაზე უფრო აქვს ყურადღება მიქცეული, ვინემ ხმა **ხ** ზე.

მაგრამ უფ. ბოგებაშვილს სახეში ალბათ ის აქვს, რომ ბავშვი, ამოიკითხავს თუ არა რომელიმე მარცვალს, ის უნებლიეთ ხმას იმ ასოზე (ხმაზე) აამაღლებს, რომლისთვისაც მარცვალი მოყვანილია; მაგ. მარც. **ახ**, ხმა უფრო ასოს **ხ**-ანს ეცემა და არა **ა**-ნს, და ამ ნაირათ ბავშვიც ყურადღებას იმ ხმას აქცევს, რომელიც უფრო მაღლა და გარკვევით გამოისმის. თუ ეს ჩემი ეჭვი მართალია, მაშინ მაგ. ხმა **ო**-ნის შესათვისებლათ მარც. **ოხ** როგორ არის მოყვანილი? ან ხმა **დ**-ნის შესათვისებლათ, მარცვლები **და** ან **დო** რატომ ამნაირად არიან მოყვანილნი და არა შებრუნებულათ—**ად, ოდ**!

ამ ნაირათ მარცვლებში ხმების დაწყობას ბავშვი ეჭვში შეჰყავს, არ იცის—რომელ ხმას მიაქციოს ყურადღება. უეჭველია, თუ მასწავლებელმა წინ-და-წინ არ უთხრა რომ ამ მარცვლიდამ ესა-და-ეს ხმა უნდა შევისწავლოთო, ბავშვი ხსენებულ ხმას არც და ვერც მიაქცევს ყურადღებას; და, თუ მასწავლებელი მართლა ასე მოიქცა, მაშინ ის ვნებას მოიტანს, რადგან ბავშვის თვით მიმხთომობას დახშავს.

აქვე გაკვრით მოვიხსენიებ ხმების შესათვისებელს იმ მეთოდს, რომელიც შვეიცარიის ბევრს სახალხო შკოლებში გამოცდილი მასწავლებლები ხმარობენ და რომელიც, ჩემის მიმხთომობით, ჭკუაში მოსაყვანისი არის.—ეს, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ამ მასწავლებლებს, რომელიმე ხმის შესასწავლებლათ, მის დღეში მარცვლები არ მოჰყავთ მაგალითებათ, არამედ ხმის შესასწავლებლათ, ხმა ან ასო მოჰყავთ და ხმებისათვის კი სიტყვები. მაგალითად, როდესაც შეგირდმა რომელიმე ხმა რამდენიმედ მაინც გაიცნო, მაშინ იმას თვითონ მოჰყავს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, იმისთანა მოკლე, მოკლე სიტყვები (და ძრიელ ძვირათ უმნიშვნელო მარცვლები), რომლებშიაც უთუოთ ხსენებული ხმა უნდა იყოს. ამ მოკლე სიტყვიდამ ჯერ საჭირო ხმას გამოათქმევინებს რამდენჯერმე გარკვევით და შემდეგ დააწერინებს კიდეც. ამ გვარათვე იქცევიან როდესაც რომელიმე სიტყვიდამ, ერთი ხმის მაგიერ, რამდენიმე ხმა უნდა გამოარკვიონ.

*

(დასასრული შემდეგ №-ში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემაერთებელი ნაწილი, ხანჯალი გულზე მოხვედრია და მადლობა ღმერთს კიდევ, რომ ტყავი, სერთუკი, ქილეტკა და პერანგი დახვედრია, თორემ გულის ძლებს სრულებით ჩასჭრიდა და იქვე მოჰკლავდაო. ზედამხედველი მაინც მძიმედ არის თურმე დაჭრილი, მაგრამ სიკვდილით, როგორც ამბობენ, არა უშავს-რა.

რასა თქმა უნდა, რომ თუ იმ ზედამხედველმა მართლა პირველად გაბედა ხსენებული პირის ხელის შეხება, სასამართლო, რომლამდინაც ეს საქმე მიაღწევს, სრულებით გაამართლებს თ. ვ. წერეთელს.

* * *

გაზ. „კავკაზის“ „დღიურში“ შემდეგი სტრიქონებია დაბეჭდილი:

„დღემდი არა ისმის-რა თ. ილია ჭავჭავაძის გაზეთზე „ივერიაზე“ ხელის-მოწერის შესახებ. ნუ თუ დაბადებამდი მიიცვალა ეს გაზეთი?“

ჩვენ შეგვიძლიან ვაწუგეშოთ უ. „დღიურის“ რედაქტორი. „ივერია,“ როგორც ამბობენ, პირველი მარტიდამ გამოვა. რაიცა შეეხება ხელის-მოწერას, მართალია, ჯერ ეს გამოცხადებული არ არის, მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ კვიტანციები ფულის მიღებისა უკვე დაიბეჭდაო და ამ ნაირად ფულის მისაღებად ახალი რედაქცია სრულებით მზათ არისო....

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ივრის ხეობიდამ**, 9 გიორგობისთვეს. დიდი ხანია, ბატონო რედაქტორო, რაც აღარა მომიხსენებია რა შენთვის ჩვენი დარდი. ისე ძრიელ კი მინდა ხოლმე შეგატყობინო ერთიანად, რაც ვარამი გვაწევს გულზედ, როგორც ავათმყოფს უნდა, რომა უთხრას ექიმს თავისი სენი. ახლა, შენი ჭირიმე, ის ავათმყოფი იმ სენის გამჟღავნებით ექიმისაგან ხომ თავის მორჩენას მოელის, ისე ჩვენა ამ შენთან ლაპარაკით ჩვენი დარდების თავიდან მოშორების იმედი გვაქვს; ხომ მოგეხსენება, ნათქვამია: ჭირი გამჟღავნებული სჯობიაო.

დღესა, ბატონო, ჩვენ ღვდლებზედ მინდა მოგახსენო რამე. აბა, იმ დროსაც მოვესწარით, აი, რომა ღვდლებიც დარდად გაგვიხდა! რასაკვირველია ჩვენ ყველა ღვდლებზე არ ვამბობთ. ამ დალოცვილის-შვილებს, მართალია, ჩვენი სულიერი მამები ჰქვიანთ, ჩვენ მოძღვრებსა და მწყემსებს ეძახიან, მაგრამ იმათთან კი ნურას უკაცრავათ, რომ კარგი ვერა ვსთქვა რა იმათზედ. რის მამები, რის მოძღვრები, შენი ჭირიმე! წავიდა ის დრო, როცა მამებიც იყვნენ და მოძღვრებიცა. ამ დროში ამ სახელის ძალა იმათ სულ აღარ ესმით, ან იქნება არ უნდათ, რომ გაიგონ. მარტო მწყემსობის სახელი კი—ჰო, როგორც არის, უკისრიათ, ისიც იმიტომა, რომ როგორც უჯობსთ, ისე გამოიყენებენ ამ სახელს. ახლა, ასე, რომა მე როგორც მესმის ეს სახელი—ის სხვა არის, და იმათ რომ ესმით—ის კიდევ სხვაა.

აი, შენი ჭირიმე, მოგახსენებ. მე რა მგონია მწყემსობა. ჩვენ რომ ხალხი ვართ, ერი, ახლა რიგიან გზაზედ ტარება გვინდა, წინ-წაძღოლა, ყურის-გდება, რომ, რა ვიცით, ადამიანები ვართ, რამე ხიფათი არ დაგვემართოს, ან ხორცის საზიანო და შესარცხვენი, ან სულის წასაწყმედი; გაჭირვებაშიაც დახმარება გვინდა, ათასი მჭამელი გვყავს—იმათგანაც დაფარვა გვეჭირვება.

მე ხომ ასე მესმის მწყემსობა, და კიდეც დავამტკიცებ, რომ ასე მესმის. ერთ დროში, შენი ჭირიმე, ღორების მწყამსი ვიყავ ერთხელ ქალაქში გასასყიდად ჩავრეკე გოჭები და რაც დამრჩა, უკან წამოვასხი. იორს რომ მოვადექ, ის დალოცვილი ადიდებული დამხვდა; მაინც არ დაგიდევ და შემოვრეკე შიგ გოჭები. აკი, რაც ულონო გოჭები იყო, სულ არ დამტაცა წყალმა! ამის მნახველმა, იმერლისა არ იყოს, რაღაცა უშველებელი დამემართა, სულ ავირიე, აღარას დავდიე, გამოუდექ უკან ამ გოჭებს. ხან წამაქცია წყალმა, ხან წამიღო, ხან მახრჩობდა; მაგრამ მაინც ჩემი ვქენ, სულ გამოვიყვანე გოჭები წყლიდან.

გაწუწული და დაქანცული რომ გამოველ გამოღმა, ბევრი შემომიკურთხეს მგზავრებმა: იმ ოროლე უხეირო გოჭისთვის სულს საეშმაკოდ რაზედ იხდიო! მაგრამ, აბა რა მექნა? მაშ რიღას მწყემსი ვიქნებოდი, თუ ან წყალ-წაღებულს არ გამოვიყვანდი, ან მშიერ-წყურვალს სასმელს-საჭმელს არ უშოვნიდი, ან ნადირის პირიდგან არ დავიხსნიდი, და ერთის სიტყვით, ყველა საფთხეს არ მოვაშორებდი? მე, შენი ჭირიმე, ასე მესმის მწყემსობა, პატრონობა.

ჩვენ ღვდლებს-კი ეს საქმე სულ სხვა ნაირად ესმისთ. იმათ ისე ჰგონიათ, რომა მწყემსს იმისთვის უნდა ცხვარი, თუ ძროხა, თუ ღორი, თუ, ერთის სიტყვით, რაც იქნება, რაღა, რომა როცა ჰნებავს გაკრიჭოს, როცა ჰნებავს მოწველოს, როცა ჰნებავს დაკლას, გაატყაოს და შეჭამოს. სწორედ ასეც გვიშვრებიან, თქვენი რისხვა არა მაქვს, ზოგიერთი ჩვენი სულიერი მამები; ამის მეტს სხვა მოვალეობას არასა კისრულობენ ჩვენთვის.

მითომ გვახსოვს რამე იმათგან შეწევნა თუ? ღმერთმა შენ გაშოროს მტერი, როგორც ჩვენგან შორს არის იმათი შემწეობა. უბრალო დარიგებაც არა გვახსოვს რა იმათგან. რა ვიცი, ბატონო, სათემოთა ვცხოვრობთ; რამდენი რამ არის, რომ არ გვევებება და არ ვიცით: ახლა ან შვილები გვყავს გასაზრდელი და სწავლა უნდათ, მაგრამ კარგად არ ვიცით, უნდათ თუ არა სწავლა, და თუ უნდათ—რათა? ან გაზეთი გვაქს წასაკითხი, იქნება შიგ რამე გამოსადეგი სწერია ჩვენთვის; ან ვალის პატრონი გვყავს, და მუდამ ჩვენ მოტყუებას ცდილობს, რომ ეგების რაც შეიძლება მეტი აგვაგლიჯოს; ან სუდია-მამასახლისები გვყვანან და მუდამ ოინობენ და ოსტატობენ, რა არის—ისარგებლონ რამე ჩვენგან; ან ბოქაულები გვყვანან თავიანთ თავ-გასული ჩაფრებით და მუდამ იმას ითხოვენ ჩვენგან, რაც ხაზინას კანონით არ ეკუთვნის, და რაც ჩვენთვისაც არა გვაქს ხოლმე,—და ერთის სიტყვით, შენი ჭირიმე, თითონაც კარგა მოგეხსენება რამდენი რამ გაჭირება გვაქს ჩვენ უმადლო ცხოვრებაში. ახლა ერთი მიბძანე, შენს სადღეგრძელოდ, დასარიგებელი არა გვჭირს რა?

ახლა კიდევ ესა, ბატონო, რომა ხომ ცხადათ ვხედავთ, ამ ჩვენი დასადგომი თვალებით, რომა მამა-პაპურად ცხოვრება აღარ შეიძლება ჩვენი, რომ ამისთანა ცხოვრებით სულ ძირიანად გავნადგურდებით. ზოგი უხეირო ჩვეულება გვაქს და სამჯობინარია, რომ რაც შეიძლება მალე თავი დავანებოთ; ზოგი უცხო ხალხსა სჭირს სახეირო ჩვეულება და ჩვენკი არ ვიცით, რომ შემოვიღოთ; ზოგი ხვნაში გვაქს საზარალო, ზოგი თესვაში, ლეწვაში და ვენახის კეთებაში, და—ან კი რა გვაქ სახეირო? ჩვენი შრომა სულ უმადლოა და საზარალო, და რომ ყველა მუშაობით ჯეროვნად ვისარგებლოდ, არ ვიცით როგორ მოვიქცეთ.

ერთი სიტყვით, ბატონო, ჩვენი ცხოვრება სულ გაჭირებულია და დასალონებელია, ყველაფერში ოსტატი გვეჭირვება, დამრიგებელი და მოსარჩლე გვინდა, და აბა ერთი მიბძანე ღვდელზედ უკეთესად ვინ უნდა დაგვარიგებდეს; იმათზედ ძალიან ვის უნდა შესტკიოდეს ჩვენთვის გული? თუ მამათა, მოძღვართა და მწყემსად დაგვიყენა ჩვენ ქრისტე-ღმერთმა ღვდელი, მაშ ვიღას უნდა მოვთხოვოთ ჩვენ ცხოვრებაში წინ-წაძღოლა, გაჭირებაში დარიგება და დახმარება? მამაზედ ძალიან ვის შესტკივა გული იმის შვილზედ? მწყემსზედ ძალიან ვინ იზრუნავს იმის ფარა-ჯოგზედ? მოძღვარზედ ძალიან ვინ უნდა ცდილობდეს იმის მოწაფეების გაწვრთნას?

მე ერთი რეგვენი გლეხი გახლავარ, იქნება კიდეცა ვცდებოდე და ასე არ უნდოდეს; მაგრამ, მაგარი ეს არის, რომა აი აქვე, ჩვენ მეზობლად, რომ თვალითა ვხედავ, უფრო ამიტომ თამამად ვლაპარაკობ ამაებს. სართაჭალის ნემენცების ღვდელზედ მოგახსენებ. ერთი წირვა არ გაივლის ისე, რომ არ უქადაგოს თურმე მრევლსა, და რამე სასარგებლო დარიგება არ მისცეს. შკოლა გინდა—ის არის ყურის-მგდებელი; ერთი ნემენცი არ იქნება, არც კაცი და არც ქალი, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს, ისე მაგრა უჭირავს ხალხი სწავლაზედ; გაჭირება აქვს რამე ნემენცს, ის არის დამრიგებელი და მოსარჩლე; ავათმყოფი გაუჩნდება ვისმეს—ის არის მკურნალი: ასე მოგახსენებენ თავის სამყოფი ექიმობაც იცისო. ერთის სიტყვით, სულ ღვდელია ამოდენა ხალხის პატრონი. დალოცა ღმერთმა იმათი ჯიში, აკი იმიტომაც ლონივრად არიან, შენი ჭირიმე. მე შენ მოგახსენო, ბოქაული და ჩაფრები მიადგებიან უპრაგონოდ კარებზედ,—ქათამი დაგვიკალით და დოქით ღვინო მოგვართვით და ჩვენ ცხენებსაც თითო ფუთი ქერი აჭამეთო. დიაღ, როგორ არა, ვერ მიართვეს, ბატონო, ბადრიჯანი.

ჩვენი ღვდლები დარიგებასა და ქადაგებას კი არა, ბევრჯელ ზარსაც არ დაგვირეკენ ხოლმე. სადა დღეს ვინ იჩივლებს, შენი ჭირიმე, საჩივლელი ის არი, რომ კვირა-უქმეშიაც ხშირად წირვა-ლოცვის ხმა არ გვესმის. ამისთანა ღვდლებს მოდი და დარიგება და დახმარება მოსთხოვე რამე. ჩვენთვის საკვირველი ეს არის, რომ ასე თავ-მინებებული არიან და ყურს არავინ უგდებს ამათ უსაქმურობას. მაგრამ, ალბად, ასე უნდა, რა ვიცით.

ივრელი გლეხი ნინია

(დასასრული შემდეგ №-ში)

## უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია, რომ ინგლისი პირობით შეეკრა ოსმალეთსაო, რომ, თუ ვინიცობაა ომიანობა დაიწყო რუსეთსა და ოსმალეთს შუა, 100,000 კაცს ჯარს მოგახმარებო და ამას გარდა ფულითაც რაც შეიძლება შემწეობას არ მოგაკლებთო.

ამ ხმის სინამდვილეს გვიმტკიცებს სხვათა შორის, „ს.-პეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილი კონსტანტინოპოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც სწერენ, რომ აქაური მმართებლობა ინგლისის ჯარისათვის ყაზარმებს ამზადებსო.

**საბერძნეთი.** საბერძნეთის პალატას მიუღია სამინისტროს წინადადება, რომლის ძალითაც მმართებლობა თხოულობდა, რომ ომიანობისათვის 200,000 ჯარის დასამზადებლად საჭირო ფულები და საზოგადოთ ყოველი ღონის-ძიება მოგვეცესო.

## ნარევი

ბევრს ჩვენს მკითხველთაგანს შეტყობილი ექმნებათ, რომ პაპის პიო მე-IX ტახტის სეკრეტარი-კარდინალი ანტონელი, ამ რამდენიმე დღის წინეთ გარდიცვალა.——აი, სხვათა შორის, რას იწერებიან ამის გარდაცვალებაზე:

ანტონელლს-ერთი ავათმყოფობის მაგიერ, რამდენიმე მოსდებია ზედი-ზედ: გულში ფილენჯის ქარს, კუჭში კატარს და იქვე ქვას იმ ნაირ მდგომარეობამდინ მიუყვანია ცხენებული, რომ ბოლოს ჟამი ერთის წვალებითა და ვაი-ვაგლახით გაუტარებია; ამდროს ცოცხალი მკვდარს ემგზავსებოდაო.

ერთი კვირის წინეთ, როგორც ხელ-ფეხი, ისე თავ-პირიც დასივებია ასე, რომ მის ახლო ნაცნობებსაც გაუჭირდებოდათ მისი ცნობაო.

პაპა თურმე ყოველ დღე ხედავდა ავათმყოფს და თავის კურთხევას არ აკლებდა. პაპის გარდა, უკანასკნელ ჟამს იმას არ მოსცილებიან-სიცოცხლეში მასთან ძიელ დაახლოებული ქალი, სამი მისივე ძმა და ძმის-წული.

აბა, ეხლა ვნახოთ-თუ მწირ-მონაზონს, ანტონელს, რომელიც როგორც ბერი.

ალბათ მუდამ სულისა და გულის სიმდაბლეზე, „მოყვასის“ შემწეობაზე და სიმდიდრის უარის ჰყოფაზე ქადაგობდა, რამდენი სიმდიდრე დარჩენია.

მიცვალების შემდეგ მისი ცხონებ ქონება რომ ასწერეს და დააფასეს, გამოჩნდა, რომ ანტონელს დარჩენია 80-დამ ვიდრე ას მილლიონამდე ფრანკი (თითქმის ოც-და-ათი მილლიონი ვერცხლის მანეთი). ამაში ნაანგარიშევი არ არის აუარებელი სხვა და სხვა თვალ-მარგალიტი და ძვირფასი ქვები. ანდერძით ფული დაუტოვებია თავის დისა და ძმებისათვის და ძვირფასეულობა კი პაპის სასახლის (ვატიკანის) მუზეუმისათვის. აცხონა ღმერთმა!

* * *

ამ წლის ნოემრის 5-ს პარიჟში ყოფილა იქაური ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კრება. კრებაზე ამ საზოგადოების წევრებს, რაც რამ წაუკითხავთ ან უთქვამ, ყველაფერი ნიშნებით გამოუთქვამთ და არა სიტყვებით.

* * *

წარსულს 6 ნოემბერს ნეაპოლში (იტალიაში) მიცვლილა ლუიჯი სეტტემბრინი, რომელმანც ბეჭდვის შემწეობით, პირველათ ამოიღო ხმა 1848 წ. ნეაპოლიტანელი ბურბონების დესპოტიურს მართველობაზე. ამ ხმის ამოღებამ მაშინ იქ იმდენი განვლენა იქონია, რომ მართებლობის წინაალმდეგ ხალხი ააჯანყა.

# განცხადებანი


### ნიკოლოზ დიმიტრის ძე
## ყიფიანი

ამ ჟამად ქ. ქუთაისში დაბინავებული, მიიღებს ტფილისის სამოსამართლო პალატისა და ქუთაისის ოლქის სასამართლოის მოწმობაების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიჯნავო საქმეებსა როგორათაც ხსენებულს სასამართლოებში, აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან ქუთაისის გუბერნიისა, რისთვისაც თანახმა არის ტფილისში და ქუთაისის გუბერნიის უეზდებში მისვლა-მოსვლაზედ საქმეების დასაცველად.

აგრეთვე მიიღებს მსვლელობას ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში მამულების დასაგირავებლად.

მიიღეებს მოდავეებს დილით 11 საათამდინ, საღამოზედ 5 საათიდან 8 საათამდინ.

ქ. ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზედ, ქურთოშვილის სახლებში, პროგიმნაზიის პირ-და-პირ.

(10—7)

### კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისთვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობითა და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შმაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

გამოვიდა ბეჭდიდამ **შემოკლებული მხედრული ლოცვანი** გამოცემული მღვდლის დ. ღამბაშიძისაგან და ისყიდება ტბილისში: ვართანოვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: სიმონ ჩოჩახიძის ტიპოგრაფიაში და დ. ყვირილაში თვითონ გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.

### ლოცვანის შინაარსია:

ა) დილის ლოცვანი,
ბ). საყოველდღეო ლოცვანი,
გ). ლოცვა ძილად მისვლისა,
დ). ლოცვანი დაკეთილნი გულის.
ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
ვ). მცირე სერობა,
ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,
ე). სრული თვეთა მეტყველება და
თ). მოკლე ხელთა ჩვ წლამდე.

ფასი ყველგან ერთი აბაზი

## LA VELOUTINE
### (ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

იმეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

## pommade satin
### (ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—80

## საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად რის ზუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,



იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**

### პრეის-კურანტი:





წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.: ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

**უმთავრესი დეპოარის** ტფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—34


### ტფილისის სამკურნალო
(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცინი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკოროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცინი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი—ყურისა და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

### ბირჟა

პეტერბურგი, 12 ნოემბ.

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 173 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 171 | — |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 80 | 25 |
| მოსკოვის (5%) | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 155 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 480 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 725 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 170 | — |

### მაზანდა

| ტფილისი, 18 ნოემბ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. | — | 80 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი. | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 20 |
| შაქარი, გოლც. ფუთი | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი. | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი. | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. | 6 | 70 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Ноября 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.